ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №01-06/19

დაბა ქედა, **14 ნოემბერი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 16:30 საათზე

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 15;

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/19 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

14 ნოემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ საკრებულოს წევრებს მოახსენა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106[1]-ე და 106[5]-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღნიშნულ საკითხზე დაიწყებული იყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განსაზღვრული იყო 2022 წლის 17 ნოემბერი, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) მიღების თარიღად 2022 წლის 18 ნოემბერი, ასევე განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი წინასწარი სამართლებრივი კონსულტაციისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში (წერილის ნომერი: 95-95223115, 07.11.2022 წელი.), საიდანაც მიღებულია დასკვნა (წერილის ნომერი: 07-95223151-95, 11.11.2022 წელი.), რომლითაც სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გამოთქმულა, მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრებებია წარმოდგენილი, ამიტომ გარემოებებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საკითხის მიღება განხორციელდეს დაჩქარებული წესით.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ნოემბრის №01-06/19 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა
და მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: ლევან ბერიძე

სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 ნოემბრის №01-06/19 რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა გენადი ანანიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის N:12-95223086-95, 04.11.2022 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 სექტემბრის №7 დადგენილებით

დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ვინაიდან საკრებულოს მიერ 2021 წლის 28 სექტემბერს მიღებული დოკუმენტი შემუშავებული იყო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს ამოქმედებამდე, საჭირო გახდა დამტკიცებულ დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შეტანა, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ერთერთ ტერიტორიულ ერთეულში, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ქვედა მახუნცეთში დამტკიცებულ დოკუმენტში აღრიცხული სასოფლო ზონა შესაცვლელი გახდა ცენტრალური ზონით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N: დ 95.95223082, 14.11.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 16:30 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**